განკარგულება:**გ-17. 17233567**
თარიღი:**22/12/2023**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის N63 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის - „ბორჯომის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა განკარგულებაზე თანდართული დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

<u>დანართი</u>

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა 2024-2025 წ.

მიმართულება 1: გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება								
მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	საქმიანობის ინდიკატორი	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო	პასუხისმგებელი პირი	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა
1. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური გაძლიერება	მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების განვითარება	ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და საბჭოს ფუნქციების შესრულები ხელშეწყობა	გეგმა განხილულია და დამტკიცებულია საბჭოს წევრების მიერ გეგმა წარმოდგენილია ყველა ჩართულ მხარესთან			გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
		ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალების, კვლევების, ასევე საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების/რეკომენდაციების პროაქტიული გამოქვეყნება/გაცნობა	წელიწადში სულ მცირე გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებულ სხდომებზე 12 ოქმის გამოქვეყნება			გენდერული თანასწორობის საბჭო ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო		2024-2025წ.
		გენდერული თანასწორობის საკითხებში მერიის პასუხისმგებელი პირის ფუნქციებისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება	გენდერული თანასწორობის საკითხებში მერიის პასუხისმგებელი პირისათვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი			გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
		გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის შემუშავება	გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნისათვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი			გენდერული თანასწორობის საბჭო		2024-2025წ.
		ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების შემუშავება	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების დამტკიცება			გენდერული თანასწორობის საბჭო		2024-2025წ.
		ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისათვის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემუშავება	ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისათვის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ დადგენილების დამტკიცება			გენდერული თანასწორობის საბჭო		2024-2025წ.

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა და მერის წარმომადგენელთა შესაძლებლობების გაძლიერება	მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების გადამზადება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ასევე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების შესახებ		წელიწადში სულ მცირე ერთი ტრეინინგი კონკრეტულ საკითხზე; გადამზადებულთა რაოდების ზრდა		მუნიციპალური ბიუჯეტი	ექპერტი, მოწვეული ტრენერი გენდერული თანასწორობის საბჭო	პარტნიორი ორგანიზაცია	2024-2025წ.
	მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების გადამზადება გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შემუშავების საკითხებზე		წელიწადში სულ მცირე ერთი ტრეინინგი კონკრეტულ საკითხზე გადამზადებულთა რაოდების ზრდა		მუნიციპალური ბიუჯეტი	ექპერტი, მოწვეული ტრენერი გენდერული თანასწორობის საბჭო	პარტნიორი ორგანიზაცია	2024-2025წ.
	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენელთა შესაძლებლობების განვითარება		წელიწადში სულ მცირე ერთი ტრეინინგი კონკრეტულ საკითხზე					
3. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება	გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირისა და გენდერის საბჭოს წევრების მიერ მოეწყობა ცნობიერების ამაღლების კამპანია, როგორც ადამიანის უფლებების ისე გენდერული თანასწორობის საკითხებში, ოჯახში ძალადობის ნაადრევი ქორწინებისა და გენდერული სტერეოტიპების საკითხებზე		წელიწადში სულ მცირე 50 მოსწავლის ინფორმირება			გენდერული თანასწორობის საბჭო		2024-2025წ.
4. მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მხარდაჭერა	საკონკურსო კომისიის წევრად განსაზღვრულია გენდერზე პასუხისმგებელი პირი, უზრუნველყოფილია ქალთა თანაბარი წარმომადგენლობითობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და ქალთა შესაძლებლობების ზრდა ლიდერული პოზიციების დასაკავებლად.	მუნიციპალიტეტში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ-ებში კადრების შერჩევის, ატესტაციისა და სამსახურში აყვანის დროს გათვალისწინებული იქნა გენდერული სპეციფიკა				გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მერია		2024-2025წ.
	გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანაბარი ჩართულობის მიზნით მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსა და ახალგაზრდული საბჭოს დაკომპლექტება თანაბარი რაოდენობის განსხვავებული სქესის წარმომადგენლებით	1. მერის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ; 2. მერის ბრძანება ახალგაზრდული საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ;	მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ქალთა და გოგონათა რაოდენობის გაზრდა			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მერია		2024-2025წ.

მიმართულება: 2 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა								
1. გენდერული სტატისტიკის შეგროვება	მუნიციპალიტეტში, ასევე მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა	სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა გენდერულ ჭრილში				გენდერზე პასუხისმგებელი პირი		2024-2025წ.
	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები შშმ პირთა სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა	სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა გენდერულ ჭრილში	შექმნილი სტატისტიკური მონაცემთა ბაზის სულ მცირე წელიწადში ორჯერ განახლება			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მერიწარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში		2024-2025წ.
	მუნიციპალური პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარების სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა, მისი პერიოდული განახლება და საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობა	სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა გენდერულ ჭრილში	შექმნილი სტატისტიკური მონაცემთა ბაზი სულ მცირე წელიწადში ორჯერ განახლება			გენდერზე პასუხისმგებელი პირი		2024-2025წ.
მიმართულება 3: მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მხარდაჭერა								
1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება და მათი საჭიროებების გამოკვეთა	ინფორმირება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ასევე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების შესახებ	შეხვედრების გამართვა მოსახლეობასთან ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფორმაციის მიწოდებისა, მათი საჭიროებების გამოკვეთისა და მხარდაჭერის მიზნით. უზრუნველყოფილი იქნას შეხვედრებზე ქალთა მონაწილეობა	1. ყოველთვიურად სულ მცირე ორ ტერიტორიულ ერთეულში შეხვედრის გამართვა 2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ შეხვედრაზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში		2024-2025წ.
	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების შესახებ	შეხვედრების გამართვა მუნიციპალიტეტის თემის წარმომადგენლებთან ინფორმაციის მიწოდებისა, მათი საჭიროებების გამოკვეთისა და მხარდაჭერის მიზნით	ყოველთვიურად სულ მცირე ორ ტერიტორიულ ერთეულში შეხვედრის გამართვა					2024-2025წ.
მიმართულება 4: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მუნიციპალური პროგრამები და პროექტები დაგეგმილი და განხორციელებული ქალების და კაცები ბიჭების და გოგონების საჭიროებების გათვალისწინებით								

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მუნიციპალური პროგრამები და პროექტები დაგეგმილი და განხორციელებული ქალების და კაცები ბიჭების და გოგონას საჭიროებების გათვალისწინებით	ჩატარებულ იქნას პრიორიტეტების და მუნიციპალური პროგრამების საჭიროებათა კვლევა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით	1. დაზუსტდეს მონაცემები რამდენი ქალი და რამდენი მამაკაცი ღებულობს სარგებელს ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული სერვისებიდან 2. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე თანხების გამოყოფისას გამოიკვეთოს ქალების და მამაკაცების განსხვავებული საჭიროებების და პრიორიტეტები	გენდერული ანალიზი ჩაუტარდა წელიწადში სულ მცირე ერთ პროგრამას			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო		2024-2025წ.
	კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გენდერულად დაბალანსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის პოლიტიკა	უნდა ჩატარდეს კულტურულ სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა გენდერულ ჭრილში და მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები	წელიწადში სულ მცირე ერთი რეკომენდაციის მომზადება			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო		2024-2025წ.
		მუნიციპალიტეტისადმი დაქვემდებარებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	წელიწადში სულ მცირე ერთი რეკომენდაციის მომზადება			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო		2024-2025წ.
	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება	სპორტულ ცხოვრებაში გოგონათა ქალთა და შშმ პირთა ჩართულობის პოპულარიზაცია	სპორტულ აქტივობებში გოგონათა და ქალების ჩართულობის ზრდა წელიწადში სულ მცირე ქალებისა და გოგონების ორი წარმომადგენლით და ერთი შშმ პირით			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალიტეტის პროგრამებში თანასწორობის ასპექტის მხარდაჭერა, ასევე გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფა	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალიტეტის პროგრამების გენდერული ანალიზი, ქალების და კაცების მიერ მიღებული სერვისების შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად	1. ჩატარებული ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები 2. რეკომენდაციების ასახვა მოქმედ მუნიციპალურ პროგრამებში			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
		ჩატარებული კვლევის და ანალიზის საფუძველზე მომზადდება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროგრამები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად				გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.

	ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის სფეროში მუნიციპალური პროგრამების ანალიზი	ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის სფეროში მუნიციპალური პროგრამების ანალიზი გენდერულ ჭრილში	1. პროგრამით მოსარგებლე გოგონათა რაოდენობა პროგრამით მოსარგებლე ბიჭების რაოდენობა. 2. წელიწადში სულ მცირე ერთი რეკომენდაციის მომზადება			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
მიმართულება 5: გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაორგანიზებული ღონისძიებები								
1. თემის პოპულარიზაციის მხარდაჭერა	ორგანიზებული იქნას ქალთა უფლებების საერთაშორისო დღესთან, ქალთა დღესთან დაკავშირებული კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის წარმატებული და ცნობილი ადამიანების მონაწილეობით ღონისძიებები	1. მუნიციპალიტეტში ჩატარებული ღონისძიებები ქალების დღის აღსანიშნავად; 2. მუნიციპალიტეტში ჩატარებული ღონისძიება პოეტი ქალების მხარდასაჭერად; 3. მუნიციპალიტეტში ჩატარებული ღონისძიება ხელოვანი ქალების მხარდასაჭერად; 4. მუნიციპალიტეტში ჩატარებული ღონისძიება დიასახლისი ქალების მხარდასაჭერად.	1. დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართული მხარეების რაოდენობა გენდერულ ჭრილში;	7500 ლ	გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
	ქალთა ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა	ვარდისფერი ოქტომბერის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მხარდაჭერა		1500ლ	გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანია	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება	კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები: გახსნა 25 ნოემბერი, 29 ნოემბერი -ღონისძიება უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ღონისძიებები დაიგეგმება 3, 5 დეკემბერს და კამპანიის დახურვა 10 დეკემბერს, ღონისძიებების ფარგლებში დაიგეგმება მადლობის სიგელები ჩართული/მონაწილე პირებისათვის (მოსწავლეების, მასწავლებლების, შშმ პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის)	1. ღონისძიებებში ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდების რაოდენობა; 2. მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში	4000 ლ	გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.

3. ახალგაზრდების მხარდაჭერა	მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსწავლე - ახალგაზრდების მხარდაჭერა	დაიგეგმება როგორც სპორტული, ასევე კულტურული ღონისძიება მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსწავლე - ახალგაზრდებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათ სოციალიზაციას	1. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები მოსწავლე - ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც არ უნდა იყოს წელიწადში 50 მოსწავლეზე ნაკლები; 2. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები მოსწავლე - ახალგაზრდების რაოდენობა გენდერულ ჭრილში	4000 ლ	გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
	მოწყობა ექსკურსიები ახალგაზრდებისათვის სახელწოდებით ჩემი საქართველო აქ არის მათი სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით		მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში; მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა იყოს წელიწადში 40 მოსწავლე-ახალაგზრდაზე ნაკლები, მათ შორის სულ მცირე 20 გოგონა.	3000ლ	გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტი	გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
მიმართულება 6: გენდერული თანასწორობის საბჭოს ვალდებულებები								
1. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება	სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური და საბოლოო (წლიური) მონიტორინგი და შეფასება	მონიტორინგის შედეგად მომზადდება საბჭოს მუშაობის შეფასება	წელიწადში სულ მცირე ერთი შეფასება			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია		2024-2025წ.
	გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება მოსახლეობის მიერ	გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავდება ანონიმური კითხვარი ონლაინ ფორმატით მოსახლეობის დამოკიდებულების, მოლოდინებისა და საჭიროებების კვლევის მიზნით. კვლევის მიზანია მოსახლეობისგან უკუკავშირის მიღება გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე, სამიზნე ჯგუფების საჭიროებების ფიქსაცია გენდერული თანასწორობის საბჭოს შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების მიზნით	წელიწადში სულ მცირე ერთი შეფასება			გენდერზე პასუხისმგებელი პირი გენდერული თანასწორობის საბჭო		2024-2025წ.
	გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის ანგარიში	მომზადდება გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის წლიური ანგარიში	წელიწადში სულ მცირე ერთი ანგარიში			გენდერული თანასწორობის საბჭო, საბჭოს თავმჯდომარე		2024-2025წ.